დამტკიცებულია
„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციის" გამგეობის
სხდომაზე ოქმი N3
9 მაისი 2017 წელი

გამგეობის თავმჯდომარე: რ. ძაძამია

ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1. ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი (შემდგომ - წესი) შემუშავებულია „ბუღალტრულლი აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე.
2. ეს წესი ადგენს:

   ა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (შემდგომ - ეთიკის კოდექსი) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის მიდგომებს;

   ბ) გამოვლენილ დარღვევებზე დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომას და მათი დაკისრების წესს;
3. ამ წესში ტერმინები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, როგორც ის განმარტებულია კანონში.
4. ამ წესის ამოცანაა:

   ა) ხელი შეუწყოს ეთიკის კოდექსის მიზნის მიღწევას - ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამკვიდრება ბაფის წევრი ბუღალტრების მიერ თავიანთი პროფესიული მოვალეობის ღირსეულად შესასრულებლად;

   ბ) ეთიკური კონფლიქტების გადაწყვეტა, დახმარების აღმოჩენა, მ.შ. კონფიდენციალური კონსულტაციის გაწევის გზით, ბაფის წევრის სამუშაო ადგილზე ხელსაყრელი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის უზრუნველყოფის მიზნით.
5. ამ წესის მიზანია:

ა) დისციპლინარული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად გადაწყვეტილების მისაღებად დაამკვიდროს პროპორციულობა, სიცხადე, თანმიმდევრულობა და გამჭვირვალობა

ბ) უზრუნველყოს, რომ ყველა მხარისათვის თავიდანვე ნათელი იყოს ის მიდგომა, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული.

1. ეს წესი საჯარო დოკუმენტია. იგი პერიოდულად გადაისინჯება და (აუცილებლობის შემთხვევაში) შეივსება ცვლილებებით, გამოცდილების დაგროვების საფუძველზე.

მუხლი 2. გამოყენების სფერო

1. ეს წესი ვრცელდება ბაფის წევრ ფიზიკურ პირებზე (შემდგომ - წევრი).
2. წესის გამოყენების მიზნით ბაფის წვრები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

   ა) საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრები - აუდიტორი, მ. შ. ვინც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას და სერტიფიცირებული ბუღალტერი, რომლებიც აუდიტორულ ფირმაშია დასაქმებული;

   ბ) ბუღალტრები ბიზნესში - პირები, რომლებიც დასაქმებული არიან აუდიტორული ფირმის გარდა სხვა ბიზნესერთეულებში (მ.შ. საბიუჯეტო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და უწყებებში).

მუხლი 3. ეთიკის კოდექსი

1. ეთიკის კოდექსი გულისხმობს ამ წესის მიღების მომენტში მოქმედ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს, მასში შეტანილ ცვლილებებს, ასევე მოქმედი ეთიკის კოდექსის შეცვლის მიზნით, მომდევნო პერიოდებში კანონის შესაბამისად ძალაში შესულ ახალ რედაქციებს.
2. ეთიკის კოდექსის დაცვა სავალდებულოა ბაფის ყველა წევრისათვის.
3. ბუღალტრების კატეგორიებისათვის გამოიყენება ეთიკის კოდექსით დადგენილი შესაბამისი ეთიკური ნორმები.
4. ეთიკის კოდექსის უგულვებელყოფა იწვევს ბაფის წევრის დისციპლინარულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 4. პროფესიული ქცევა

1. პროფესიული ქცევის პრინციპი ბაფის ყველა წევრს ავალდებულებს დაიცვან სათანადო კანონები და სხვა მარეგულირებელი ნორმები და თავი აარიდონ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც პროფესიონალმა ბუღალტერმა იცის ან უნდა იცოდეს, რომ დისკრედიტაციას გაუწევს პროფესიას.

2. ბაფის წევრმა არ უნდა შელახოს პროფესიის რეპუტაცია თავისი საქმიანობის ბაზრის ძიებისა და წინსვლის ხელშეწყობის მიზნით.
3. ბაფის წევრი უნდა იყოს კეთილსინდისიერი და სამართლიანი და არ უნდა გააკეთოს:

   ა) ზედმეტად პრეტენზიული განცხადებები შეთავაზებული მომსახურების, თავისი კვალიფიკაციის ან გამოცდილების შესახებ; ან

   ბ) დამამცირებელი მინიშნებები ან უსაფუძვლო შედარებები სხვა ბუღალტრების სამუშაოსთან.

მუხლი 5. ხარისხის კონტროლის სისტემა

1. ხარისხის კონტროლის სისტემა არის ერთობლიობა:

   ა) პოლიტიკისა, რომლის მიზანია აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ხარისხის კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ უდიტორის/აუდიტორული ფირმის პერსონალის მიერ პროფესიული სტანდარტებისა და სათანადო იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვით მიღწეული იქნება კონკრეტული გარემოებების შესაფერისი დასკვნების გაცემა; და

   ბ) პროცედურების, რომლებიც აუცილებელია ამ პოლიტიკის პრაქტიკაში დასანერგად და მის შესრულებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად.
2. ხარისხის კონტრილის სისტემის დაცვა სავალდებულოა საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრებისათვის.
3. ხარისხის კონტრილის სისტემის უგულვებელყოფა იწვევს საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრების დისციპლინარულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 6. დარღვევის გამოვლენა

1. ბაფი ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის უგულვებელყოფის/დარღვევის (შემდგომ - შეუსაბამო ქცევა) ფაქტების გამოვლენის ეფექტურ საშუალებებად განიხილავს:

   ა) ინფორმაციას ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევის შესახებ, რომელიც შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს როგორც ბაფის წევრების, ისე გარეშე პირების მიერ გაკეთებული განცხადებით ბაფის ხელმძღვანელობასთან ან/და საზოგადოებაში მ.შ. მასმედია საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში.

   ბ) საჩივარს ბაფის წევრის მიმართ, რომელიც არგუმენტირებულ მტკიცებულებზე დაყრდნობით წარდგენილი იქნება ბაფში განსახილველად.
2. საზოგადოებრი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრების მხრიდან დარღვევის ფაქტზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით ბაფი თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან (შემდგომ - სამსახური). .

3. შეუსაბამო ქცევის შესახებ ინფორმაციის მიღების დამატებითი საშუალებაა დამსაქმებლის ან სხვა პირებისაგან ბაფში მიღებული შეტყობინება (წერილი, განცხადება).
4. ინფორმაცია და საჩივარი შეუსაბამო ქცევის შესახებ წარმოადგენს დისციპლინარული ღონისძიების გასატარებლად მოკვლევის დაწყების საფუძველს. მოკვლევა ნიშნავს დისციპლინარული საქმის წარმოების დაწყებას.
5. მოკვლევის გზით უნდა დადგინდეს რამდენად დასტურდება შეუსაბამო ქცევის შესახებ არსებული ინფორმაცია ან რამდენად არგუმენტირებულია საჩივარი.
6. დაუშვებელია დარღვევის გამოსავლენად მოკვლევის წარმოება ფარულად. მოკვლევის დაწყებამდე ინფორმაცია უნდა ეცნობის პირს, რომლის შეუსაბამო ქცევაზეც ჩატარდება მოკვლევა.
7. დისციპლინარული საქმის წარმოება შეიძლება შეწყდეს მოკვლევის სტადიაზე, როდესაც მოკვლევით არ დადასტურდება პირის შეუსაბამო ქცევა.
8. პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ბაფის მიერ მის ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება მის მიმართ დისციპლინარული საქმის წარმოების მოკვლევის სტადიაზე შეწყვეტის შესახებ.
9. მოკვლევის შედეგად დადასტურებული პირის შეუსაბამო ქცევის ფაქტი განიხილება ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 7. კომიტეტი

1. ეთიკის კოდექსის და ხარისხის კონტროლის სისტემის დარღვევის ფაქტების მოკვლევას და განხილვას ბაფის სახელით უზრუნველყოფს ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი (შემდგომ - კომიტეტი).
2. კომიტეტი იქმნება ბაფის კომიტეტების შესახებ დებულების შესაბამისად.
3. შეუსაბამო ქცევის ფაქტების გამორიცხვის მიზნით, კომიტეტი გეგმავს და ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს ბაფის წევრებისათვის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გასაცნობად და პროფესიული ქცევის დასანერგად.
4. კომიტეტს და შესაბამისად, შეუსაბამო ქცევის ფაქტების განხილვას ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე.
5. კომიტეტი სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

   ა) მოკვლევის დაწყება;

   ბ) მოკვლევის განმახორციელებელი პირის შერჩევა/დანიშვნა;

   გ) დისციპლინარული საქმის წარმოების მოკვლევის სტადიაზე შეწყვეტა;

   დ) შეუსაბამო ქცევის ფაქტის განმხილველ მოსაწვევ პირთა წრის სიის დამტკიცება;

   ე) შეუსაბამო ქცევის ფაქტის განმხილველი კომისიის (შემდგომ - კომისია) შემადგენლობის განსაზღვრა და განხილვის დღის დანიშვნა;

   ვ) დისციპლინარული საქმის წარმოების დასრულებულად გამოცხადება;

ზ) დასრულებულ დისციპლინარულ საქმის წარმოების შედეგებზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შინაარსი.

6. კომიტეტი უზრუნველყოფს:

ა) ბაფის წევრების მიმართ გამოყენებული დისციპლინარული ზომის აღრიცხვას, გამეორებითი დარღვევის იდენტიფიცირებისა და სტატისტიკის საწარმოებლად;

ბ) დისციპლიმარული საქმის წარმოების დოკუმენტების შენახვა დაარქივებას;

გ) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებზე ინფორმაციის მომზადებას დავების განმხილველი საბჭოსათვის გადაასაცემად;

დ) საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრების მიმართ გამოყენებულ დისციპლინარული ზომის შესახებ სამსახურისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას;

მუხლი 8. დისციპლინარული ზომა

1. ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევისათვის დისციპლინარული ზომების დაწესების და კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში შესაბამის ზომის გამოყენების მიზანია არა დასჯა, არამედ საზოგადოების ინტერესების დაცვა და პროფესიის იმიჯის მაღალ დონეზე შენარჩუნება. ამიტომ, დისციპლინარული გადაწყვეტილების მიმღები პირები მოქმედებენ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე.
2. შეუსაბამო ქცევისათვის გადაწყვეტილების მიმღებმა დისციპლინარული ზომის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოს პროპორციულობის პრინციპი. გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა განიხილოს, თუ რამდენად თანაზომადია გამოყენებული დისციპლინარული ზომა განხილული საქმის მ.შ. შესაბამისი მოთხოვნის დარღვევის სერიოზულობა და გამოწვეული ზიანი.
3. შეუსაბამო ქცევის ჩამდენი ბაფის წევრის (შემდგომ - მოპასუხე) მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი დისციპლინარული ზომა:

ა) **მითითება** - მოპასუხისათვის წერილობითი მიმართვა იმის მითითებით, რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა;

ბ) **დავალდებულება** - მოპასუხისათვის წერილობითი მოთხოვნა, რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა;

გ) **საჯარო გაფრთხილება** - განცხადების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე მოპასუხის გასაფრთხილებლად (შეიძლება ატარებდეს მკაცრი გაფრთხილების შინაარსს), რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა;

დ) **წევრობის შეჩერება** - ბაფის წევრის სახელის გამოყენების შეზღუდვა განსაზღვრული ვადით (მაქსიმუმ 3 წლამდე) და ამის შესახებ განცხადების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე.

დ) **გარიცხვა** - ბაფის წევრობის გაუქმება და ამის შესახებ განცხადების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე.

4. ბაფის წევრის გარიცხვა არის უკიდურესი ზომა. ბაფის წევრის მიმართ ასეთი გადაწყვეტილება მიიღება, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ შემთხვევებით, თუ:
   ა) ბაფის წევრი კავშირს წყვეტს გაურკვეველი მიზეზით (არ ეხება შემთხვევას, როცა წევრი გადაწყვეტს საკუთარი სურვილით გავიდეს ბაფის წევრობიდან);
   ბ) არ ასრულებს განგრძობითი განათლების სტანდარტების/დებულების მოთხოვნებს;
   გ) თავს არიდებს საწევრო შენატანზე ვალდებულების შესრულებას.
5. ბაფის მიერ მისი წევრისადმი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები შესაძლოა გამოყენებული იქნეს სამსახურის მიერ დაკისრებულ სანქციებთან ერთად. სამსახურის მიერ ბაფის წევრისათვის ფინანსური სანქციის დაკისრება, არ ანთავისუფლებს მას დისციპლინარული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 9. მოკვლევა

1. მოკვლევა არის დისციპლინარული საქმის წარმოების პირველი ეტაპი. იგი ხორციელდება ინფორმაციის საფუძველზე ან საჩივრის საფუძველზე.
2. მოკვლევას აწარმოებს კომიტეტის გადაწყვეტილებით შერჩეული კომიტეტის ერთ-ერთი წევრი (შემდგომ - მომკვლევი).
3. კომიტეტის გადაწყვეტილებით მომკვლევად შეიძლება დაინიშნოს სათანადო გამოცდილების მქონე გარეშე პირი. გარეშე პირის მოწვევამდე, მისი გასამრჯელოს გადახდის საკითხი უნდა შეთანხმდეს ბაფის აღმასრულებელ დირექტორთან.
4. მოკვლევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღეში ინფორმაცია უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინარული საქმის წარმოება.
5. მომკვლევი უფლებამოსილია მოიპოვოს ინფორმაცია პირდაპირ და ირიბი გზით; ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოკითხოს პირი, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინარული საქმის წარმოება, ასევე ის პირები, რომლებსაც შესაძლოა შეხება ჰქონდათ ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევასთან ან/და გააჩნიათ სათანადო ინფორმაცია.
6. პირი, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინარული საქმის წარმოება, ვალდებულია ითანამშრომლოს მომკვლევთან და მიაწოდოს მას ობიექტური ინფორმაცია.
7. მოკვლევა უნდა დასრულდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 20 სამუშაო დღეში. ამ ვადის გაგრძელება 10 სამუშაო დღით დასაშვებია მომკვლების მიერ არგუმენტირებული დასაბუთების შემთხვევაში.
8. მოკვლევის ვადის დადგენის და გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტი.
9. მომკვლევი დადგენილ ვადაში ამზადებს მოკვლევის შესახებ წერილობით ანგარიშს და ზეპირ მოხსენებას აკეთებს კომიტეტის სხდომაზე.
10. მოკვლევის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების/ინფორმაციის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება დისციპლინარულლი საქმის წარმოების გაგრძელება/შეწყვეტის შესახებ.
11. დისციპლინარული საქმის წარმოების გაგრძელება ნიშნავს მის განხილვას კომისიის მიერ.

მუხლი 10. განხილვა

1. ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევის ფაქტის განხილვის საფუძველია ამ წესის შესაბამისად მოკვლეული ინფორმაცია და კომიტეტის გადაწყვეტილება.
2. დისციპლინარულ საქმეს იხილავს კომიტეტის მიერ შერჩეული კომისია.
3. კომისის შემადგენლოაბა განისაზღვრება 5 წევრით. კომისიის ორი წევრი ირჩევა კომიტეტის შემადგენლობიდან (თავმჯდომარის ჩათვლით), ხოლო 3 წევრი კომისიის პოტენციური გარეშე წევრთა სიიდან. კომისიას თავმჯდომარეობს კომიტეტის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კომიტეტის წევრი. კომისიის წევრების შემადგენლობა იცვლება პერიოდულად კომიტეტის გადაწყვეტილებით.
4. კომისიის პოტენციურ წევრთა სიას კომიტეტი ადგენს ამ წესის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. სია შედგება 10 წევრისაგან. სიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ბაფის არაწევრი პირები ბიზნესისა და აკადემიური წრიდან. სიაში მყოფთაგან მინიმუმ 3 პირი უნდა იყოს იურიდიული განთლების მქონე. კომისიის პოტენციურ წევრთა შემადგენლობა გადაისინჯება და იცვლება კომიტეტის გადაწყვეტილებით.
5. კომისიის წევრების შერჩევიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომისია ნიშნავს საქმის განხილვის თარიღს. საქმის გასახილველად კომისიის სხდომა უნდა შედგეს კომისიის წევრების შერჩევიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღეში.
6. საქმის განხილვის თარიღის დანიშვნიდან 2 სამუშაო დღეში შეტყობინება უნდა გაეგზავნოს პირს, რომლის დისციპლინარული საქმეც იქნება განხილული (შემდგომ - მოპასუხე)
7. საქმის განხილვას უნდა ესწრეოდეს კომისიის მინიმუმ 3 წევრი. კომისია დისციპლინარულ ზომაზე გადაწყვეტილებას იღებს სხდომის მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.
8. კომისიის მიერ საქმის განხილვაზე დასწრების უფლება აქვს ყველა დაინტერესულ მხარეს. დაინტერესებული მხარედ ითვლება ინფორმაციის გამავრცელებელი, მომჩივანი, მისი წარმომადგენელი (ინტერესების დამცველი) და მოპასუხე.
9. მოპასუხე უფლებამოსილია:
   ა) დაესწროს კომისიის სხდომაზე მისი საქმის მოსმენას;
   ბ) კომისიის სხდომაზე მოიწვიოს მისი ინტერესების დასცველი პირ(ებ)ი.
10. დაუშვებელია გადაწყვეტილების მიღება მოპასუხის თანდასწრებით. საქმის მოსმენის შემდეგ კომისია მსჯელობას აგრძელებს დახურულ სხდომაზე (მხოლოდ კომისიის წევრების მონაწილეობით) და გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. კომისიის გადაწყვეტილება მოპასუხესათვის ცნობილი უნდა გახდეს სხდომის დამთავრებამდე.
11. კომისიის სხდომას განსახილველი საქმის შინაარსს აცნობს მომკვლევი.
12. მოპასუხე და/ან მისი ინტერესების დასაცავი პირი უფლებამოსილია კომისიას წარუდგინოს გამამართლებელი არგუმენტები და მტკიცებულებები.
13. ფაქტორები, რომლებიც განხილული უნდა იქნეს შესაფერისი დისციპლინარული ზომის დასადგენად, მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთ ჩამოთვლილით:

ა) მოპასუხის მიერ (ეთიკის კოდექსის ან/და ხარისხის კონტროლის სისტემის) დარღვეული მოთხოვნის/ნორმის ხასიათი, მაშტაბი და მნიშვნელობა;

ბ) დარღვევის სიმძიმე და ხანგრძლივობა;

გ) ეთიკის კოდექსის ან/და ხარისხის კონტროლის სისტემის მოთხოვნების უგულვებელყოფის შედეგად მიღებული სარგებელი;

დ) ეთიკის კოდექსის ან/და ხარისხის კონტროლის სისტემის მოთხოვნების დარღვევა იყო განზრახ თუ შემთხვევითი;

ე) დარღვევა არის არაკეთილსინდისიერი, განზრახი ან გაუფრთხილებლობით;

ვ) შესაბამისი მოთხოვნის დარღვევის უარყოფითი ან პოტენციურად უარყოფითი გავლენა მნიშვნელოვანი რაოდენობის ადამიანებზე (მაგ. საზოგადოება, ინვესტორები ან ბაზრის სხვა მომხმარებლები, კლიენტები, თანამშრომლები ან კრედიტორები);

ზ) დარღვევა ჩადენილია ერთჯერადად, არაერთჯერადი თუ კიდევ გრძელდება;

თ) გამოვლენილი იყო თუ არა ადრე ანალოგიური ან სხვა დარღვევა;

ი) იმოქმედა თუ არა მოპასუხემ ადრე გამოვლენილი დარღვევის გამოსასწორებლად;

კ) არსებობს თუ არა იმავე ტიპის დარღვევის ალბათობა;

ლ) მოახდენს თუ არა დარღვევა უარყოფით გავლენას პროფესიის, პროფესიული ორგანიზაციის იმიჯზე.

14. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება წერილობითი ფორმით. კომისიის სხდობის თარიღიდან 3 სამუშაო დღეში კომისიის გადაწყვეტილება ეგზავნება მოპასუხეს. გადაწყვეტილება შეიძლება გაიგზავნოს ელექტრონული ფორმით.
15. კომისიის გადაწყვეტილების გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ ამ წესით დადგენილ ფარგლებში.

მუხლი 11. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევის გამო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ბაფში, გადაწყვეტილების მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.
2. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაას იხილავს ბაფის გამგეობის მიერ შერჩეული საჩივრის განმხილველი საბჭო (შემდგომ - საბჭო).
3. საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს ბაფის გამგეობის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე.
4. საბჭოს შემადგენლოაბა განისაზღვრება 5 წევრით. საბჭოს ორი წევრი ირჩევა ბაფის გამგეობის შემადგენლობიდან (თავმჯდომარის ჩათვლით), ხოლო 3 წევრი საბჭოს პოტენციური გარეშე წევრთა სიიდან. საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს გამგეობის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში გამგეობის წევრი. საბჭოს წევრების შემადგენლობა იცვლება პერიოდულად გამგეობის გადაწყვეტილებით.
5. საბჭოს პოტენციურ წევრთა სიას გამგეობა ადგენს ამ წესის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. სია შედგება 10 წევრისაგან. სიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ბაფის არაწევრი პირები ბიზნესისა და აკადემიური წრიდან. სიაში მყოფთაგან მინიმუმ 3 პირი უნდა იყოს

იურიდიული განთლების მქონე. საბჭოს პოტენციურ წევრთა შემადგენლობა გადაისინჯება და იცვლება გამგეობის გადაწყვეტილებით.

6. საბჭოს პოტენციურ წევრთა შემაგენლობაშ არ უნდა იქნეს შეყვანილი პირი, რომელიც კომისიის პოტენციურ წევრთა შემადგენლობაშია.
7. ბაფის წევრის საჩივრის მიღებიდან 5 დღეში საბჭო ნიშნავს საჩივრის განხილვის დღეს და შეტყობინებას უგზავნის საჩივრის ავტორს (შემდგომ - მომჩივანი) განხილვის თარიღამდე 10 სამუშაო დღით ადრე.
8. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი თუ სხდომას ესწრება მინიმუმ 3 წევრი. საბჭოზე საჩივრის განხილვას ესწრება მომჩივანი და მისი ინტერესების დამცველი. განხილვას შეიძლება დაესწროს მომკვლევი და კომიტეტის თავმჯდომარე.
9. საბჭო საჩივრის შინაარსის და შესაბამისი არგუმენტების მოსმენის შემდეგ დამსწრე პირთა მონაწილეობის გარეშე მსჯელობს განსახილველ საკითხზე და გადაწყვეტილებას იღებს ფარულლი კენჭისყრით.
10. საბჭოს გადაწყვეტილება მომჩივანისათვის ცნობილი უნდა გახდეს საბჭოს სხდომის დამთავრებამდე.
11. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება წერილობითი ფორმით. საბჭოს სხდობის თარიღიდან 3 სამუშაო დღეში გადაწყვეტილება ეგზავნება მომჩივანს. გადაწყვეტილება შეიძლება გაიგზავნოს ელექტრონული ფორმით.

მუხლი 12. დამოუკიდებლობა და ინტერესთა კონფლიქტი

1. ბაფის წევრის შეუსაბამო ქცევისათვის დისციპლინარული ზომების გამოყენების პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ მოკვლევის, განხილვისა და გასაჩივრების ეტაპებზე საფრთხე არ შეექმნას ობიექტურობის პრინციპს და გამორიცხული იყოს ინტერესთა კონფლიქტი.
2. ბაფის გამგეობამ და კომიტეტმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეარჩიოს მომკვლევი, კომისის წევრები და საბჭოს წევრები, რათა ამით უზრუნველყოფილი იქნეს შერჩეული პირების დამოუკიდებლობა.
3. შერჩეულ პირებს დამოუკიდებლობამ უნდა მიანიჭოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც თავისუფალი იქნებიან მაკომპრომენტირებელი ზეგავლენისაგან და საშუალება ექნებათ იმოქმედონ პატიოსნად და ობიექტურად.
4. კომისიის/საბჭოს სხდომის დაწყებამდე კომისიის/საბჭოს წევრი ვალდებულია კომიტეტს/გამგეობას წერილობით წარუდგინოს:
   ა) დამოუკიდებლობის დადასტურება (დეკლარაცია) და
   ბ) კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ხელწერილი, რათა ინფორმაციის გამჟღავნებამ არ შელახოს ბაფის წევრის პროფესიული იმიჯი.
5. დისციპლინარული საქმის/გასაჩივრების განმხილველი კომისიის/საბჭოს წევრების შემადგენლობაში არჩეული პირების შესახებ მოპასუხეს უნდა ეცნობოს კომისიის/საბჭოს სხდომის თარიღის შეტყობინებასთან ერთად. მოპასუხე უფლებამოსილია აცილება მისცეს

საბჭოს/კომისიის წევრს, თუ არგუმენტირებულად დაასაბუთებს ინტერესთა კონფლიქტის არსებობას.

მუხლი 13. გამოყენებული დისზიპლინარული ზომის საჯაროობა

1. ბაფი უზრუნველყოფს დისციპლინარულიი ზომების გამოყენების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება ბაფის წლიურ ანგარიშში და ვებგვერდზე.
2. გასაჯაროებულმა ინფორმაციამ არ უნდა დაარღვიოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება და არ უნდა შელახოს ბაფის წევრის პროფესიული იმიჯი.
3. საჯარო ინფორმაცია შემოიფარგლება სტატისტიკური მონაცემებით გამოყენებული დისციპლინარული ზომების ჭრილში. ინფორმაცია არ უნდა იძლეოდეს ისეთ მინიშნებას, რომლითაც ბაფის წევრის იდენტიფიცირება გახდება შესაძლებელი.
4. გამოყენებული დისციპლინარული ზომა პირის იდენტიფირებით დასაშვებია მხოლდ მაშინ, თუ წევრის მიმართ დისციპლინარული ზომად გამოყენებული იქნება საჯარო გაფრთხილება, წევრობის შეჩერება და გარიცხვა.